EP GEORGIA GENERATION

JSC "EP GEORGIA GENERATION"
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia
ID Code: 405182626

სს „ეპ ჯორჯია გენერაციი"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ24
0186 თბილისი, საქართველო
სარ. კოდი: 405182626

#3001772
24.01.2023

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ.150

ბარემოს ეროვნული
„27" სააგენტო 01 2023
№ 548

ქალბატონო თამარ,

როგორც ცნობილია, ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 21 ოქტომბრის N2-1491 ბრძანებით დამტკიცებულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ქვესადგურის რეკონსტრუქციის აუცილებლობა განაპირობა 2022 წლის მაისში ტრანსფორმატორების აალებით გამოწვეულმა ხანძარმა.

ქვესადგურის რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს ძველი, მწყობრიდან გამოსული ტრანსფორმატორის მაგივრად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტრანსფორმატორების დამონტაჟებას და მათი ოპერირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას. ამასთან, საპროექტო ტრანსფორმატორებს შორის იგეგმება რკინაბეტონის ხანძარსაწინააღმდეგო კედლის მოწყობა, რაც ავარიის შემთხვევაში უზრუნველყოფს, ერთი ტრანსფომატორის ლოკალიზებას მეორე ტრანსფორმატორისაგან. ხოლო ტრანსფორმატორების გვერდით მოეწყობა ახალი ავარიული ზეთდამჭერი სისტემა მიწისქვეშა ზეთშემკრები რეზერვუარით.

რეკონსტრუქციის შედეგად არ იცვლება ქვესადგურის სიმძლავრე და მისი განთავსების ტერიტორია.

იმის გათვალისწინებით, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, წარმოგიდგენთ - „ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ქვესადგურის რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს".

დანართები:

- ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ქვესადგურის რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშის ბეჭდური ვერსია;
- ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ქვესადგურის რეკონსტრუქციის პროექტის სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია;
- ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ქვესადგურის კოორდინატები (Shp ფაილები და GPS კოორდინატები);
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.

პატივისცემით,

დიან დიმრეი
დირექტორთა საბჭოს წევრი

შემსრულებელი: მარიამ მჭედლიშვილი გარემოსდაცვითი მმართველი ტელ: 577351055